

ივერიის

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	—	—
11	9	50	5	—	50
10	8	75	4	—	75
9	8	—	3	—	50
8	7	25	2	—	75
7	6	50	1	—	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
 და განცხადებთა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვი გამაგრ. საზოგადოების კანცელიარიას.
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეორეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1896

„მოამბე“

თვიური ჟურნალი (წელიწადი მესამე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში ამავე ზრდადებით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქაჯაქებში	1 წლით	6 თვით	3 თვით
სახელმწიფო	10 მან.	6 მან.	4 მან.
სახელმწიფო გარე	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მედიკოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მალაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანად კამისისა და ფულის გამოგზავნისათვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერა დაუთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თვის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულის მიღებას გვატყენდა გავგზავნებთ მხოლოდ იმით, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვირტანებაზე.

ქაჯაქ გარე მდებარეობისათვის ადრესი **Тифлисъ, редакція „Моамбе“**. რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწოდებებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წაქაჩვად. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველ აგვისტოში ოთხი მანეთი შესატანი ეთიც მარტში და -რომ-დნო რა მასი.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვირი“

გამოვა 1896 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბანამდის.

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა ახლაც პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მანეთი. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთი. სამი თვისა გაუგზავნელად 2 მანეთი, გაგზავნით 2 მან. 50 კაპ. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკათხელოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელიარიაში“ და თვით „კვალი“-სა და „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул., д. Тамашева, взвъ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერა შეუძლიანთ მიჰმართონ: ქუთაისში: ვარლამ კილაძისა, ვ. ბეჟანისვილისა, ძმთა წერეთლებისა, ხეთერელის წიგნის მაღაზიებში და ბ.ნ. ლალიძესთან ხელტერის წყლის ქარხანაში; ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავლიონში გერ. კალანდაძესთან; ფოთში: მიხეილ თურქიას; მინაბოლოვში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას; თიონეთში: ივ. ჩიხლაშვილს; გორში: არსენ კალანდაძეს; ქიათურაში: თედორე კიკვაძეს; ყვირილაში: ბ.ნ. არაბიძის წიგნის მაღაზიაში; ახალსეპთში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძეს; სარხურში: ყარამან ჩხეიძეს; თელავში: ვ. ბარნოვს.

მომავალი 1896 წლის ხელის-მოწერლებს „კვალი“-სას დაურთავდებთ შრეობით ახალი რომანი გიორგი წერეთლისა, სახელად **„ბუქქან“**. რომანი შესდგება სამი ნაწილისაგან.

გამოვიდა და ისუიდება ყველა მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლის წიგნის მაღაზიებში

კაჯაქ. გუნას მაქრ გამრეკმულო

საქართველოს

კალენდარი

1896 წ.

ფასი ათი შაური.

უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ. გამავრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

(10-1)

6 თვით „მწყემსი“ . . . 2 „
— „ ორივე გამოცემა . . . 3 „
— „ რუსული . . . 1 „
სოფლის მასწავლებელთ და ღირბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ს ა მ მ ა ნ ე თ ა დ

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ვეირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირილაში, აგრეთვე ქუთაისშია და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შოა ქუჩაზე, კვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაქაროვთან; გორში—სასულ. სასწავლებლის მასწავლებელ ილია ი. ფერაძესთან; საჩხერაში—მ. ყარამან ჩხეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან. ახალციხეში—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и „ПАС-ТЫРЬ“**.

ამ მიმდინარე წლის საჩუქარი **„გოთა რუსთაველის ახატვრობა“** უკვე დაურთავდათ ხელის მომწერთ და ვისაც ჯერ არა აქვს მიღებული, ისინიც მალე მიიღებენ.

1896 წლის „მწყემსი“-ს ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურთავდათ

მოზრდილი ფოტოგრაფიული მხატვრობა

საქართველოს მეფის წმ. დავით აღმაშენებლისა

იმერეთის ეპისკოპოსის

გაბრიელისა.

ქართული თეატრი.

კვირას, 31 დეკემბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

თამარ გაბონიშვილი

ისტ. დრამა 5 მოქმ. კ. ს. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ჩერქეზი-შვილისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ.ნ.ნი: ყიფიანი, კანდელაკი, ადამიძე, კორინთელი, წერეთელი, თამაზოვი, აბრამოვი და სხვ.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივია. მოწოდებებისათვის ადგილები ლოყების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. რეისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

სახალხო საჩუქარი

გამოვიდა და ისუიდება

„ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემა № 38

ბეჭდის კალენდარი

1896 წლისა

მშვენიერის სურათებით

ფასი ექვსი შაური

ვინც ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ექვსი აბაზის წიგნებს იყიდის (ამხანაგობის მიერ გამოცემულს)

კალენდარი მუქთად დაეთმობა.

ტფილისის დამოქმდა ცხადებს

ჩაით მოვაქრეთა საყურადღებოდ, რომ ამ მიმდინარე წელს გაუსყიდველი ჩაი კარტუზებში, რომელსაც სახელმწიფო ბანდეროლი არ აკრავს, უთუოდ უნდა წარუდგინონ დამოქმდას 1896 წ. 1-ლ იანვრამდე, რომ ბანდეროლი გადაეკრას. (3-5-3)

მიხატობა.

თბილისი 30 დეკემბერსა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ხალხის განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილ-დღეობისა, ბედნიერებისა. ისიც კარგად აქვს შეგნებული ყველა მოახრე ქართველსა, რომ სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა. შინაური სწავლება, ესრედ წოდებული თვით სწავლა, აზრდილიც არ არის ამ უფების დონისძიებისა. სად შეერთებული ძალა მრავალთა და სად კერძო პირის ცოდნობა? სად სკოლა, აღჭურვილი ყოველი პედაგოგიური იარაღით, ხერხით და სად ცალკე პირის განცალკევებული შრომა, მოკლებული ჯეროვანს ოსტატობასა! თვით-სწავლა კარგი, ძალიან კარგი დამატებითი ღონისძიებაა სკოლისა; მაგრამ თავის-თავად-კი იგი ისეთივე უძლურია, როგორც პეტყველობისათვის დამატებითი წინადადება, მოკლებული მთავარს წინადადებასა. მეტადრე ეს უნდა ითქვას დაბალს ხალხზედა, რომელიც სკოლის გარეშე საუკუნო მონაა უმეცრებისა, რადგანაც უსწავლეობა როგორ გაავრცელოს, სწავლა, უეცრად ცოდნა, უზრდელმა ზრდილობა! ერნი, მდიდარნი სკოლებით, მდიდარნი არიან განათლებითაც. ხოლო სადაც სიღატაკეა სკოლები-სა, იქ მკვდრად არის ფეხ-მოდგმული სიღატაკე განათლებისა.

ჩვენმა ხალხმა მეტ-ნაკლებობით შეიგნო ეს ელემენტარული ქეშმარიტება და განთავისუფლდა თუ არა ბატონ ყმობის უღელიდან, ერთგულად შეუდგა სკოლების გახსნასა.

მაგრამ, ბატონებო, სკოლა ორპირი იარაღია. მას შეუძლიან დიდი სიკეთეც შესძინოს თავის პატრონსა და დიდი ზარალიც მიაყენოს. ბევრში, სკოლაში ნასწავლი, შეიძლება გაუზომელად მაღლა იდგეს გონებით,

ხასიათით, ზნეობით და მხნეობით, იმაზედ, ვისაც ბედმა სკოლა არ აღირსა და შეიძლება ბევრად უარესი იყოს მასზედა. ეს იმაზედ გახლავთ დამოკიდებული, თუ რა რიგად არის მოწყობილი სკოლა, რადენად მისწრაფება თავისი პედაგოგიურის დანიშნულებისაკენ, რადენად სწორედ გზას ადგია, რადენად არის დამორებული ყოველგვარს უკუღმართობასა.

ჩვენს სახალხო სკოლაზედ წინედ-ც იმოდამ სამდღურადი და ახლაც ისმის და ეს სამდღურადი დღითი-დღე მატულობს, იზრდება. მრავალი კორესპონდენცია, რომელიც იბეჭდებოდა და იბეჭდება ჩვენს პერიოდულს გამოცემაში, წარმოგვიდგენს ჩვენს სახალხო სკოლას არა როგორც ჯან-საღს ორგანიზმს, არამედ როგორც დასწვლულს, დაუძლურებულს დაწვესებულს, რომელსაც არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან. მაგრამ ის ცნობები, რომელიცა გვაქვს ჩვენს სახალხო სკოლებზედ, საქმარისი არ არის დავადგინოთ. ყოველ-მხროვანი დიოგნოზი, და სწორედ ამგვარი დიოგნოზია სპირო, რათა ჩვენს საზოგადოებას შეეძლოს შესაბამი წამალი მოუპოვოს ამ სახალხო სენსა.

ამ დიოგნოზისათვის გვაკლია დაწვრილებითი ფაქტიკური ცნობები ჩვენის სკოლების მაქმედების შესახებ წინედ და ახლა. უნდა კარგად ზედმიწევნით შევიტყოთ მათი დასაბამი, წარსული და აწინდელი მდგომარეობა. ამ ცნობების შეკრება ადვილად შეუძლიანთ იმ ნასწავლ ქართველებსა, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ, ან ხშირად დაიარებიან იქა. რათა გავუადვილოთ მათ ამ საქმის კისრვა და შესრულება, ჩვენც დავადგენთ აქ საკითხებს, რომლებზედაც პასუხს მიუგებენ ის ქართველნი, რომელნიც იკისრებენ სახალხო სკოლის საქმის გამოძიებას, გამოკვლევას და გამოქვეყნებას რომელიმე ქართული პერიოდული გამოცემის შუამავლობით.

რადენიმე წელიწადია, რაც სკოლა დაარსდა ამა თუ იმ სოფელში? რადენ კლასიანია იგი? რადენს წელიწადს გრძელდება კურსი? რადენი მასწავლებელია მასში? რა და რა საგნებს ასწავლიან? რადენი გაკვეთილია დღეში და კვირაში? როდის იწყება სწავლა და როდის თავდება? სულ წელიწადში რადენს თვეს სწავლობენ? რადენი გაკვეთილი აქვს ნარგუნები კვირაში და რომელი სახელმძღვანელოებით ასწავლიან ქართულს ენასა? რუსულსა? არიფმეტყისა? რადენს ხანს ასწავლიან ქართულს ენაზედ საგნებსა და რა დროდგან იწყებენ საღმრთო სჯულსა და სწავლას რუსულს ენაზედ? რადენს ასწავლიან პირველს და შემდეგ განყოფილებებში ქართული ენიდან და სხვა საგნებიდან? რა წარმატებით სწავლობენ ქარ-

თულს წიგნსა და სხვა საგნებსა ამა, თუ იმ განყოფილებაში კერძოდ და საზოგადოდ სკოლაში?

რას იღებს ჯამაგირად თვითოფე-ლი მასწავლებელი? მარტო სოფე-ლი ინახავს სკოლასა, თუ სხვა სახ-სარიც აქვს? რავდენს იხდის სოფე-ლი სკოლის ხარჯად წელიწადში? ეს ფული მთლად იხარჯება სკოლა-ზედ, თუ არა? თუ რჩება ძირს რამე, სად მიდის ეს ფული? სახელმძღვ-ნელოები ქართულის ენისა, რუსუ-ლისა და საგნებისა სკოლას დირექ-ციიდან მისდის, თუ თვითონ მოწა-ფეები ყიდულობენ თავისი საკუთა-რი ფასით? საკმაოდ აქვს სახელმძღ-ვანელოები სკოლასა, თუ არა?

რავდენად გაუფრცხვლებია სკოლას ხალხში ქართულის წიგნის ცოდნა და რუსულის ენისა? რავდენს დაუს-რულებია სკოლის დაარსებიდან სრული კურსი? მათში რავდენს და-ვიწყებია ნასწავლი? რავდენს შეუბ-რჩენია იგი და რავდენად? რავდენს გაუგრძელებია შემდეგში თვითონ, შინად, სწავლა წიგნისა და ქართუ-ლის მწიგნობრობის მიმდევარი გამ-ხდარა? რავდენი ვადასულა სოფლის სკოლიდან სხვა სასწავლებელში და რა წარმატებით უსწავლია?

ჭკონია და აქვს სკოლას ვავლენა ხალხის ზნეობაზედ და სარწმუნოე-ბაზე, თუ არა? სკოლაში ნამყოფნი ჯაფის მოყვარეობით, ხასიათით, ალა-მიანობით, კაცთ-მოყვარეობით და ღვთის სიყვარულით სჯობიან თუ არა იმათ, ვისაც სკოლაში არ უს-წავლია? მადლიერია სოფელი სკო-ლისა, თუ უმადურნი? ეს სამდურავი წინადაც ყოფილა, თუ ახალი მოვ-ლენაა? რა მიზეზით გამოემდურება სოფელი სკოლასა? რა ღონისძიე-ბანი უხმარია სოფელსა, რომ თა-ვიდგან აეცილებინა სკოლისათვის ეს მანე მიზეზები?

სკოლაში მარტო გლეხის შვილე-ბი სწავლობენ, თუ აზნაურებიცა? რავდენნი არიან პირველნი და რავ-დენნი მეორენი? უფასოდ სწავლო-

ბენ აზნაურთა შვილები, თუ ფასს იხდიან, და რავდენსა?

ვაყვებთან ქალებიც სწავლობენ? რა თვლით უცქერის გლეხობა ორი სქესის ერთად სწავლებასა? რა ვა-ლენა აქვს ვაყვებზედ და ქალებზედ მათ ერთად სწავლებასა? რომელნი უფრო ბევრად და კარგად სწავ-ლობენ და იყენებენ ცხოვრებაში ნასწავლსა, ვაყვები, თუ ქალები? და სხვანი.

როცა აღნიშნული ცნობები სო-ფლის სკოლების შესახებ დაისტამ-ბება ჩვენს პერიოდულს გამოცემე-ში, მაშინ ჩვენ თვალ-წინ დაგვიდგე-ბა სრული და გარკვეული სურათი ხალხის განათლების დაქვეითებისა ჩვენს ქვეყანაში და აშკარა შეიქნე-ბა, თუ რა ღონის ძიებანი უნდა იქმნან ნახმარნი, რათა სკოლა ვახ-დეს ხალხის განათლების წყაროდ და არა მისი გონების დაჩაგრვის იარა-ღად.

მაგრამ მარტო ეს არა კმარა. სა-ჭიროა ჩვენ ამავე დროს ზედმიწევ-ნით ვიცოდეთ, რა გვარად არიან მომართულნი სკოლები იმ ხალხთ შორის, რომელნიც შეადგენენ ნა-წილსა რუსეთის იმპერიისას, და ავ-რეთვე იმ მეორე ხარისხის ხალხებ-ში, რომელნიც ეკუთვნიან გერმან-იას, ავსტრო-ვენგრიას, ინგლისს და სხვა სახელმწიფოებს ევროპისას, მაგრამ ამაზედ ჩვენ ცალკე მოვილა-პარაკებთ.

იაკობ სიმონიძე.

ახალი ამბავი

* * * დღეს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან წარმოღ-გენილი იქნება „თამარ ბატონიშვი-ლი“ ისტ. დრამა ნ მოქმედ. კ. მეს-ხისა. ეს წარმოდგენა, სხვათა შო-რის, მით არის საყურადღებო, რომ ბ. კ. ყიფიანისა და ქ. ჩერკეზიშვი-ლის გარდა მონაწილეობას იღებენ

სურათს და ვსტებობდით... გვეგო-ნა, რომ აპრილში ალუბალს ვიგე-მებდით, მაისში სხვა და-სხვა ჯიშის მსხალი შეგვიძობდა სუფრას, ხოლო ივნისში მწიფე ყურძენი გვექნებოდა. თურმე ნუ იტყვიო, ყოველივე ეს ოცნება იყო, ბუნების თვალთ-მაქ-ციობისაგან გამ. იწვეული.

დადგა გაზაფხული და დაიწყო ზამთარი. წამოგვიმინა თოვლ-ქუაბი, ქარიშხალი, ყინვა, სუსხი და ყო-ველგვარი დარღუბა, რასაც-ი უკუღმართი ზამთარი მოახერხებს. გა-ცრუვდა ჩვენი იმედი. ხეხილთა ყვა-ვილი ყინვამ დააზრო, ქარიშხალმა დაბერტყა და განაზნა. არა თუ ცო-ტაოდნად ნაზი და სათუთი ხილი ვედარ ვიხილეთ, არამედ ტყემა-მა, ამ ყოვლად გამძლე ხეხილმაც, თავი დაგვიკრა და ცარიელზე დაგვ-სვა.

ზაფხული პირველად წვიმიანი იყო. წვიმდა გამუდმებით კოკის-პირულად. ვაკე ადგილებში (ნიგოთი, ლანჩხუ-თი, ჩიბათი, ჯურჯუვეთი და სხვ.) ყანები სრულიად წყალმა დაჰფარა, რის გამოც უმეტესი ნაწილი გაუმარ-გლელი დარჩა და გაფუჭდა. ზეგანსა და მთა ადგილებში ხშირის წვიმების მეოხებით ჯგჯილმა დიდის სისწრა-ფით იყარა ტანი და ამ ადგილებში კაი მოსავლის იმედიც იყო; მაგრამ

და უმთავრეს როლებს ასრულებენ ახალგაზდა არტისტები ჩვენის სცე-ნისა.

* * * მომავალს 6 იანვარს „ტფი-ლისის „კრუჟოკის“ დარბაზში გაიმარ-თება სათავად-აზნაურო ბალი, რო-მელსაც ყოველთვის დიდძალი ხალ-ხი ესწრება ხოლმე და რომელიც მეტად სასიამოვნოა და მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრე სა-ზოგადოებაზე. ბალის გამგედ წელს იქნება კნ. მ. ვ. ჯამბაყურიან-ორ-ბელიანის ასული. შემოსავალი და-ნიშნულია სათავად-აზნაურო სკო-ლისათვის.

* * * სიონის ქუჩაზე, იქ, სადაც ახალი შენობა ააშენეს და წინად ძველი წვ-რილი ღუმელები იყო, თურმე საში-ნელი ცული სუნი სდგას და უსუფ-თაობაა, რადგანაც დანგრეულ ნა-ღუქნარებში ყოველგვარს ნავავსა ჰყარა.

* * * როგორც ვაზ. „ტფ. ლ.“-ს შეუტყვია, ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწის თანამდებობაზე ერევნის საგუბერნიო ექიმის თანა-შემწეს კ. ჭ. ლიპინს თურმე პნიშ-ნავენ.

* * * ამ დღეებში კომისიის, რო-მელსაც მინდობილი ჰქონდა საფე-ლოქსერო კომიტეტებისათვის ხაზი-ნიდამ გადადებული ფული განაწი-ლებინა, უკვე დაუთავებია მუშაობა. ფული, რომელიც თვითვეულს კო-მიტეტს ჰხვედრია წილად, თვით კომისიისავე უცვნია მცირედ და ამი-ტომ განუზრახავს მევენახეთ შეაწე-როს ცოტა რამ გარდასახადი საფე-ლოქსერო დაწესებულებაათვის. რო-გორ იქმნება განაწილებული ეს გარდასახადი, ამას სამეურნეო დე-პარტამენტზე ვარდასწევტს იმის დაკვალად, თუ რომელს ნაწილს უფრო მეტი დახმარება ექირვება ფილოქსერასთან ბრძოლაში. ამისა-თვის ყოველმა ადგილობრივმა სა-ფილოქსერო კომიტეტმა უნდა წა-რუდგინოს დეპარტამენტს თავისი მოსაზრებანი.

აი დადგა ივლისი, ეს სიმინდის და-ტაროვების დრო, და დაიწყო საში-ნელი სიცხე-პაპანაქება, რომელიც შემდეგ აუტანელ გოლვად გადაიქ-ცა. ამ უბედურებას აღმოსავლეთი. თბილი და ძლიერი ქარიც ზედ და-ერთო და „ვაის“-„ვეიც“ მიემატას მოსცდა და წახდა ზევან ადგილების ყანებიც ზოგან. სულ, და ზოგანაც სანახევროდ. გოლვასა და ქარს გადურჩა დაუზიანებელი აქარა-გურიის მთის კალთებზე გაშენებულ სოფელთა (სურები, ერკეთი და სხ.) ყანები. ვინ მოიფიქრებდა თუ უკუ-ღმართი და სასტიკი წელიწადი ამ ბედნიერ ადგილებისათვისაც ამზა-დებდა უბედურებას. სიმინდი უკვე მშვენიერად დატაროვებულიყო. დამ-თავრებასა და დამწიფებას-ღა ელოდ-ნენ, რომ მარამობისთვის შუა რიცხვე-ბში მუქართა ღ სუსხით დაჰბერა ქვენა ქარმა, რომელსაც აქ „ქალიკონს“ უწოდებენ, დაჰბერა და აქარა გუ-რის მთა შავსა და ბნელ ბურუსში გაახვია. აცოვდა. ვგრძობდით, რომ მთაზედ საშინელი ქარ-ბუქი იდგა და, მართლაც, რამდენისამე დღის შემდეგ ის (მთა) სრულიად თოვლით შელე-ლილი დაეინახეთ. თოვლის წრე ყა-ნებთან ადგილებს დიდად აღარ შო-რავდა. ამ ნაირად უდროოდ დროს აცოვებამ მთაც დააზარა. ყანები

* * * მომავალს, 8 იანვარს, სახაზინო თეატრში ვარდახილი იქნება 25 წლის იუბილეი ტფილისის ცნობილის ანტონბრენიორისა და არტისტის ვ. ლ. ჭორკატის არტისტიულის მო-ღვაწეობისა.

* * * მ. შარაძის და ამხან. სტამ-ბას ფილოსოფოსი სოკრათი ხელ-მეორედ დაუბეჭდია და პირველ იან-ვრიდამ გასასყიდად დაურვიდებათ.

* * * სამშაბათს, 2 იანვარს, სალა-მოს 7 1/2 საათზედ, მოხდება ექიმა საზოგადოების კრება, რომელიც გან-იხილავს შემდეგ საგნებს: 1) მიმდი-ნარე საქმეებს, 2) მოხსენებას კომი-სიისას სახალხო საქმიო ფურცლის გამოცემის შესახებ და 3) ა. ა. რა-ზამატის რეფორტს დეზინფექციის შე-სახებ.

* * * მოგვივდა მე-XII წიგნი ეუ-რნალ „მომამბისა“ შემდეგის შინაარ-სით: I „მოტყუებული“. — მოთხრო-ბა რევან ფავლენიშვილისა (დასას-რული) II „დაკარგული იმედი“. — ეტიუდი დუტუ მეგრელისა, III „გა-ნთიადი“. — მოთხრობა ვეისა, თარგმან-ი თ. სახოკიასი (დასასრული) IV „გვ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“ — საშობაო ეტიუდი შ. არაგვის-პირელისა, V „ცეცხლითა და მახვი-ლითა“. — ნაწილი მესამე. — რომანი გენრიკ სენკევიჩისა, თარგმანი გრ. ყ—ძისა (გაგრძელება) VI „ვეფხის-ტყალის“ ყალბი ადგილები“. — IV — XII. — ალ. ს—ვილისა VII „ენა და ეროვნება“. — გ. ყ. VIII „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამო-ყენება“. — V. — კარაქი და ერბო. — პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა (გა-გრძელება) IX „მოთიულეთი 1804 წელსა“ — XI — ისტორიული ამბავი ალ. ფრონელისა; X „კერძო თაოს-ნობა და ჩვენი ქალები“. — ბ. სა-ლისა; XI „მეგრული დიალექტის ნა-თესაობრივი დამოკიდებულება ქარ-თულთან“. — II. — პ. ქარაიასი; XII „მეგრული ნინოშვილი“. — (მეგობრის მოგონება) თ. სახოკიასი; XIII „ბიბ-ლოგრაფია“, — „ჩემო შვინდა!“ სუ

უმეტეს ნაწილად დაუმთავრებელ-და-უმწიფებელი დარჩა.

შემოდგომის პირველი ნახევარი, მოსავლის შეკრების დრო, თითქოს განგებ, რომ უიმისოდაც მოკლეული გული მოგვკლამოდა, კარგი იყო. მაგრამ რაღა იყო შესაკრები? სულ რაღაც ათი-თორმეტის დღის განმავ-ლობაში მიფშენტი-მოფშენტი უმო-სავლო ყანები.

ახლა სრულის სინამდვილით და საესებით გამოჩნდა, თუ რამდენად უნუგეშო ყოფაში იყვნენ ჩაცვიფე-ლნი ჩვენნი მხენელ-მთესველნი და ყველა ისინი, ვინც მოსავლის იმე-დით იბრუნებდნენ სულს. ცალიერი სასიმინდე, ცალიერი მარანი, გაფხე-კილი ჯიბე, გარედ საშუშოს შოვ-ნის გაწყვეტილი იმედი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ათასნაირი გარდასახად მოთხოვნილება, მტერი, მოყვარე, ქირი და ლხინი დაუპირის-პირდნენ და შეეჯახნენ ერთმანეთს. აქ თითოეული მკვიდრთაგანი იმის ფიქრში-ღა იყო, რომ უკუღმართ გარემოებათა დაჯახებაშიარ გაქულე-ტილიყო, არ განადგურებულიყო და როგორმე მომავალ წლის მოსავლამ-დე პირ-ნათლად მიეტანა თავისი მო-ვალეობა ოჯახისა, საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე... ამასობაში კვლავ განსაცდელი, კვლავ გაჭირვე-

რათი შიო არაგვისპირელისა, სახალ-ხო წიგნი, № 7. — გრ. ყ—ძე.

II.—Di una grammatica medita della Lingua Georgiana scritta da un cappuccino d'Italia, note di E. Teza. Vene-zia, 1894 (დაუბეჭდავი გრამატიკა ქართულის ენისა, დაწერილი იტა-ლიელ კაპუცინის მიერ, შენიშენა ე. ტუცისა. — ვენეცია. 1894 წ.) III —Gustave Le Bon—Les Lois psycho-Logiques de l'évolution des peuples. —Paris. 1894. — (გუსტავ ლე ბონი —ერთა განვითარების ფსიხოლოგი-ური კანონები).

ქრონიკა:

XIV „შინაური მიმობილება“. — ზოგიერთი ჩვენი პატარა საქმეები. — ბათუმის ქართველობა და მისი ორი საქმე—სკოლა და ეკლესია. — ხონის მასწავლებლები. — სახალხო ბიბლიო-თეკები, სახალხო კითხვა და „წერა - კითხვის საზოგადოება“. — ქართული საეკლესიო გალობის ნო-ტებზე გადაღება—თ. დავ. გურა-მიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებაზე. — გაზეთებს გაზეთებივე უნდა ვუგოთ პასუხი. — პეტერბურ-გის სტუდენტების აზრი.

XV „შინაარსი 1895 წლის მოამ-ბის ნომრებისა.“

XVI „განცხადებანი“.

დამატება: XVII „საქართველოს სიძველენი“.

შეცდომის განწორკება:

გუშინდელს ნომერში ახალ ამბათ არის დატყობილი ბ. ი. გოგებაშვილის მოხსენე-ბა, რომელშიაც შეცდომით სწერია: „მე დავისახელებთ კომისიის შესაფერ წევრად მეორე კანდიდატსაცა, სახელდობრ ბ. გ. მერეთელსა...“ უნდა უყოს „ბ-ს ბ- იო ს ე ლ ი ა ნ ს ა“...

კ ო რ ე ს კ ო ნ დ ე ნ ე ტ ი ა.

კ ა მ ა პ ა მ ი. ქუთაისის და ტფილისის გუბერნიისაში წყაღ-დადობისაგან ძამხდარ-მა, ზარაღმა და დაზარალებულთა უნუ-გეშო მდგომარეობამ კაჟკაის გულ-ბა და „ღვთის რისხვა“ დაგვატყდა თავს.

ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებ-ში დაიწყო გამუდმებული წვიმები. ოთხ დღესა და დამეს მოდიოდა კო-კის-პირული წვიმა, ანუ „თქეში“, როგორც აქ ეძახიან, და თან შედა-რებით თბილოდა. ზოგიერთა ალაგას ქუბილიც გაიგონეს. ეს, რა თქმა უნდა, იმის ნიშანი იყო, რომ მთა-ზედ წვიმდა; წვიმდა იმ დროს, რო-დესაც მთა წინა ხანებში მოსულის თოვლით იყო დაფარული. ამ არა ჩვეულკარის მოვლენისა გამო აღ-ვილოდ წარმოსადგებია რა საშინელი ხილვრები დაქანდებოდა მთიდან! აღიღდა მდინარეები, აღიღდა ისე, რომ საშინელი იყო, არა თუ სანა-ხავად, წარმოსადგებადაც-კი. მთელი ვაკე ნაწილი გურიისა ანტუტებულ ყუალში ლივლივდა. ბევრი ხამ-რომ-ნაღვაწი და ნაჭირნახულევი შე-უერთა ჩვენსა მდინარეებში შავს ზღვას. ბევრი სახნავ-სათესი ადგილი ძოარიყო, ქვად და ყორედ აქცია. ბევრგან გზა დააქცია, ბოგირები წა-იღო, წისქვილები იავარ-ჰყო, საქონე-ლი დაღუბა. აქა-იქ ადამიანის სი-ცოცხლეს იმსხვერპლა. მრავალ ალა-გას გამოჰკადა ზვავი და შეწყერი, ზოგან სამოსახლო დაანგრა, ზოგან ბალი და ვენახი განადგურა... ზა

ფელეტონი

გურიის ავან-ჩაგანი.

I
წლებადელი წელიწადი, რომე-ლიც ეს არის განუტყვებს თა-ვისს ძვირად-სახსენებელ სულს, გუ-რიაში სწორედ ღვთის რისხვისა და წყრომის წელიწადი იყო. ზამთარი ზამთარს არა ჰვავდა, გაზაფხული გა-ზაფხულს, —ზაფხულს სრულიად ვერ იცნობდით, ხოლო შემოდგომას არა უშავდა-რა, რომ ბოლო ხანებში ახი-რებულად არ მოექნია კუდი... მაგ-რამ დავიწყეთ ისევე ზამთრიდამ. ეს თოვლ-სუსხისა და ქარ-ბუქის დრო ისე ვავიდა, რომ ფოვლი თვალთაც არავის უნახავს, სიცივე არავის უგრ-ძენია და ქარისაგან, ასე ვასინჯეთ, ფუქითა შრიალიც არავის გაუგონია. სულ თბილი, წყნარი და კამკამი ამინდები იდგა. ამის გამო, რა თქმა უნდა, მცენარეთა სამეფომ ადრე გამოიღვიძა. იანვრის უკანასკნელსა და თებერვლის პირველს რიცხვებში ბევრ ალაგას ჰყვავდა ხეხილი, ტყე მწვანით იმოსებოდა და მინდორი ზურმუხტად იყო ქცეული. ვუსტქრო-ლით ამ უჩვეულო, თვალ-წარმატაც



ბანსხალეზანი

ქართული თეატრი
სამშაბათს, 2 იანვარს, 1896 წ.
საიუბილეო წარმოდგენა,
სახსოვრად ქართული თეატრის და-
არსებისა
„ქართულ დრამატულ საზოგადოების“
დასასაგან
წარმოდგენილი იქნება
„ბაშკარა“
კომედია 4 მოქ. გ. ქრისტოვასა.
მონაწილეობას ღებულობენ: საფა-
როვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა,
და სხ. ბ. ნ. ნიკიფორი, გედევანოვი,
კანდელიაძე, ადამიძე, შათირიშვილი,
ცაგარელი და სხვ.
ადგილებს ფასი ჩვეულებრივად,
მოწვეულებისათვის ადგილები ღირსე-
ბის უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წე-
რა-კითხვის გამავარცლებელის საზო-
გადოების წიგნის მალაზიაში:
ნ. ბარათაშვილისა
ლექსები და წერილები.
გამოცემა მეხუთე.
ფასი 40 კ.
მამის ერთგული.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 15 კ.
მტრედი.
მოთხრობა
მოზრდილის ყმაწვილებისათვის
ქრ. შმიდტისა
ფასი 10 კ.

ატრში დაუსტვინეს, როცა გერმა-
ნელების საეროვნო გალობას მღე-
როდნენ, და ინგლისური რამდენ-
ჯერმე გაამეორებინესო.

ლორანსო-მარკინი. აქ მოვიდა
გერმანელი სამხედრო გემი.

შანაძი. ამბობენ, იაპონელებმა
კორეს მეფეს სასახლე დაატოვებინე-
სო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 დეკემბერი.

მუდგ.	მუდგ.	მუდგ.	მუდგ.
მან. კ.	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	7,50	7,50	—
5% მომგებიანი გი- რანობის ფურცლები	—	—	209 1/2
4 1/2% გირანობის ფურცლები იმავე ბა- ნისა	100	—	—
6% ფურცლები ქუთა- ისის სათავად-აზნა- ურ, ბანკისა	—	101	—
5% იმავე ბანკისა . . .	98	—	—
6% ტფილისის სათა- თავად-აზნაურ ბა- ნისა	—	101	—
5% იმავე ბანკისა . . .	98	—	—
5% ობლიგაც. ტფი- ლისის ქალაქის საკრე- დიტო საზოგადოებისა	—	98	—

„ივრიის“ ფოსტა.
—
კუბაშინი, რუსეთს: თქვენი „ახალ-
წლის მილოცვა“ არ დაიბეჭდება.
ფაშაველი, ბ. აფ შინაშვილს: თქვენი
თხოვნა ასრულებული იქნება. მოიწერეთ
ხშირად.
ბათუმს, ი. კ.ს-ს წერილი დაუსაბუთე-
ბელია და ვერ დაგებდეთ.

ავტორს. მაგ. ამბობს: „კაცობრიო-
ბის ცხოვრებაში იყო განვითარების
ისეთი ხანა, როცა აღამიანში ზნეო-
ბრივი გრძობა სრულიად არ არსე-
ბობდა“, (61 გვ.) ეს მეტის-მეტე
შეცდომაა და ისეთი შეცდომა, რო-
მელიც იქვე მეორე გვერდზედ ირ-
ღვევა. „ყოველს ხანაში კაცობრიო-
ბის განვითარების აღამიანის ზნეო-
ბრივი წარმოდგენილი ნამდვილ ცხოვ-
რებაში არსებულ ურთიერთობათა
გამომხატველი უნდა ყოფილი-
ყო“ (62 გვ.). გავს ყოველს ხანას
ჰქონია (თავისებური, რაიმენაირი
ზნეობა. ამას ხომ ავტორისაგან ნა-
ჩვენები მწერლებიც ამტკიცებენ.
თვით მას მოჰყავს ლეტურის შემ-
დეგი აზრი: „როცა ორი არსება,
რომელთაც ბუნებით მინიჭებული
აქვთ გრძობა-აზროვნება, თუმცა
ძალიან განუვითარებელიც იყოს იგი
გრძობა-აზროვნება, სცხოვრობენ
ერთად, ერთმანეთს უკავშირდებიან,
თუნდა დროებით, რაიმე სურვილის
მისაღწევად, — მორალი, ასეთი თუ
ისეთი ზნეობა, უნდა დაიბადოს მათ
ში“. და ამას უარს ვერა ჰყოფს ავ-
ტორი, რომ აღამიანი თავის დღეში
ისე მარტო არ ყოფილა, რომ მეო-
რე მისივე მზავისი გვერდით არა
ჰყოლოდეს.

შინაური მიმომხილველი კიდევ უზ-
რუნდება ავგისტოს ნომერში გამო-
თქმულს აზრს შესახებ ჩვენში ნაფიც
მსაჯულთა სამართლის შემოღებისა.
თურმე ნაფიც მსაჯულთა სამართლის
შემოღებას განაპირა ქვეყნებში „სეფ-
ვესტ“-იკ ქადაგებს. შეიძლება შინაურ
მიმომხილველის ნაწერები ამის შე-
სახებ დარჩეს ხმად მალაღებელისა
უდაბნოსა შინა, მაგრამ მაინც საქი-
როა თვით საზოგადოებამ შეიგნოს,
შეიძლება თუ არა ჩვენში ასეთისა
თუ ისეთის პრაგრესიული დაწესე-
ბულების შემოღება და თუ არ შე-
იძლება, რა ელოდება წინ? ეს მოვა-
ლეობა ყველა ქურთალ-გაზეთისა,
მიუხედავად მისა, როდის განხორ-
ციელდება მისი აზრები და სურვი-
ლები.

შემოწირულობა.

ჩვენ მივიღეთ წყალ-დიდობისაგან დაზარა-
ლებულთა სასარგებლოდ სად. მოლითში
ბ-ნ ვასილ გეთაშვილისაგან შეკრებილი ფუ-
ლი 46 მან. და 15 კაპ. აი სია შემომწირ-
ველთა:
გ. ბ. გეთაშვილი 1 მ., გ. ა. მუტაბა
5 მ., მ. ლიუბლინსკი 10 მ., სკიდელსკი
10 მ., ისაკოვა 3 მ., პავლე კურცხალიაძე
3 მ., იოსებ ძნელაძე 2 მ., ესტატე ჩხარ-
ტიშვილი 2 მ., მაიატკი 1 მ., ვან-
ვერსტა 1 მ., პაპოვა 1 მ., ივანე ვაგო-
ნიძე 1 მ., დიმიტრი რაზუმოვსკი 1 მ.,
კაროლ ვერტნერმა 1 მ., არშაკ ფრიდონო-
ვა 1 მ., ერნსტ ბოტემ 1 მ., იოსებ ძნე-
ლაძე 50 კ., დარისან კალანაძე 50 კ.,
ლეტკე 50 კ., ჩლაიძე 20 კ., გრიგორი
რუიკოვა 20 კ., იორდანე ბარბაქაძე 15 კ.,
სოლომონ თამაროვა 10 კ. და სულ 46
მან. 15 კაპ.

ჩვენ მივიღეთ წყალ-დიდობისაგან დაზარა-
ლებულთა სასარგებლოდ დ. დილიენში
ბ-ნ ტოფიძე ინსარბისისაგან შეკრებილი
თვრამეტი მანეთი ფული.

სამართალის თაველი.

თავადნი ვაჟასიშვილნი. საქართვე-
ლოს მეფის ბაჟასის 1723 წლის გუ-

სადაგოს დეკეზა

30 დეკემბერი.
ვლადიმოსტოკი. ინგლისი სტლი-
ლოზს იაპონიას დაუკავშირდეს. ია-
პონიაში პეტრე არიან ამ კავშირის
მომხრე. სეულიდამ გვატყობინებენ,
რომ უკმაყოფილება მატულობს. აპი-
რებენ მეფის ტახტიდამ ჩამოგდებას.
იაპონელთა ჯარის რიცხვი შემცი-
რებულია. სტლილოზენ კორეს შე-
ერთებულ სახელმწიფოთა მფარვე-
ლობა მოუპოვონ.

კოსტანტინეპოლი. აქ არსდება
კომისია სულთანის თამგდომარეო-
ბის ქვეშე. ამ კომისიის აზრად აქვს
დახმარება აღმოუჩინოს იმ მაჰმადი-
ანთა და ქრისტიანთა, რომელნიც
აზიის ვილაეტებში მოხმადარ უწყესო-
ების დროს დაზარალდნენ.

ლონდონი. აქ ყველასა სწამს,
რომ ინგლისსა და ტრანსვალს შო-
რის მშვიდობიანად გათავდება საქმე.
აგრევე ფიქრობენ ვენესუელას საქ-
მეზედაც, და ამ რიგად ინგლისსა და
ამერიკის შტატებს შორის არავითა-
რი უკმაყოფილების საგანი აღარ იქ-
მნება. მთელი ხალხი აღელვებულია
გერმანიის წინააღმდეგ. კერძო კრე-
ბებზე იმ აზრს აღგანან, რომ ინგ-
ლისის ელჩი ბერლინიდამ უნდა და-
ინარონო და იმპერატორს ვილჰელმს
ჩამოართვან საპატიო ხარისხი ინგ-
ლისის ფლოტის აღმირალისა. გამო-
ჩენილმა საპოლიტიკო მოღვაწეებმა
უცებ ასტეხეს ბაასი, რომ საქირაოა
მეგობრული კავშირი საფრანგეთთან
და რუსეთთანაო.

ლონდონი. ბლამფონტენიდამ
იუწყებინან, რომ იოჰანესბურგის ქა-
ლაქის პირად დაბანაკებულია 20,000
ბოერი.
«ტაიმსსა» ატყობინებენ მეგობრუ-
რიდამ, რომ აქ ძლიერ აღელვებული
არიან გერმანიის წინააღმდეგ. თე-

არავინ შეზნებია. მაგრამ ჩვენი იმედ-
ბი არ განხორციელდა. ა. ყაზიბეგის
დრდებულმა ნიქმა ისეთი ნაწარმოე-
ბი მოგვცა ამ სფეროში, რომელიც
ძვირფას თვალს შეადგენს ჩვენის ლი-
ტერატურისას და მის მეორე მართლაც,
რომ ძნელია ისეთის სახეებით, ისე-
თის შეგნებით აღწეროს ვინმე ჩვენი
პროვინციების ცხოვრება. მართალია
ბ. ნინოშვილიც შეგნო ერთ-ერთს
ჩვენს პროვინციას, მაგრამ ის იმდენ-
ზედ დაბლად სდგას ბ. ყაზიბეგზედ,
რამდენზედაც ბ. თ.—ლი განსვენე-
ბულს ნინოშვილზედ. ბ. თ.—ლს აკ-
ლია ის გარკვეული თვალთა ხედვის
ისარი, რომელიც ე. ნინოშვილის
თხზულებებს აღწევს ძალას და ინ-
ტერესსა სძენს, მიუხედავად იმისა,
რომ მხატვრობითი მხარეს მისი მოთ-
ხრობებისა ძლიერი ვერ არის. ბ-
ნ თ.—ლს მოუწოდებინა სამეგრელოს
ცხოვრება გაეცნო ჩვენთვის. ამიტომ
კი საქირა იყო დაენახებინა სული
და გული ამ ცხოვრებისა, მისი ნაკ-
ლულევაგანებანი, მიზეზები ამ ნაკლუ-
ლევაგანებისა. ის-კი მხოლოდ ცხოვ-
რების ერთს მხარეს გვისურათებს.
ვინმე რომ იხელმძღვანელოს ამ სუ-
რათით, როგორც ეთნოგრაფიულის
მატერიალით, წარმოიდგენს, რომ სა-
მეგრელოს ცხოვრება ამ გვარად იხა-
ტება: ერთის მხრით ქურდები და
მეორეს მხრით გაქურდულები; ქურ-
დები აღრე თუ გვიან იხგებიან, რა-
დგან პოლიცია რიგიანად ასრულებს
თავის მოვალეობას, თუ მაინც პო-
ლიციის უფროსი „სლოვიანთა მოდ-
გმის“ იქნება. ასეთი აზრი სამეგრე-
ლოს ცხოვრებაზე მხოლოდ „ოფი-
ციალური“ აზრია, და აზრი უცხოე-
ლთა მგზავრობის აღწერილობაზე და-
ფუძნებული და არა ამ ეროვნების
ღრმა ცოდნაზედ. დალოცვილს ერ-
თი ქალის მოტაცება მაინც აეწერა,
აქ სიყვარული იქნებოდა გარეული
და საინტერესო იქნებოდა ცოცხლა-
და და ნიქიერად აწერილი მეგრული
სიყვარული. ქალების მოტაცებაც
ხომ „ოფიციალურად“ ერთ უმთავ-
რეს თვისებად ითვლება მეგრელები-
სა. ზოგიერთს ადვილებს თუ მიაქ-
ცევთ ყურადღებას, ნახავთ, რომ მწე-
რალს შეეძლო გვარიანად აეწერა და
უფრო ღრმად დაენახებინა სამეგრე-
ლოს ცხოვრება. არ შეიძლება ერთი
არ შეგნიშნოთ ავტორს. რა საქი-
როა, მეგრულს სიტყვებს, რომ ხმა-
რობს, ვერავინ ვერ გებულობს და
მაინცა-და-მაინც ცხოვრების მეტის-
მეტადრე აღურად გამოხატვა თუ უნ-
და, სულ მეგრულად უნდა დამწერა
მოთხრობა.

სერიოზულ წერილებში ყურად-
ღების ღირსია „ზნეობის განვითარე-
ბა“ (სქესებრივი (!) მორალი) ბ. ვ.
პატრიშვილისა. შეიძლება დაეთან-
ხმობთ მის აზრებს, შეიძლება უკუზგ-
დოთ იგინი, მაგრამ მაინც ამ წერი-
ლის წაკითხვა ყველასათვის სასარგე-
ბლოა, მით უმეტეს ვისაც ცოტა
არის რამ განათლება მაინც მიუღია.
ავტორი სტლილოზს მაგალითზედ
დაგვანახავს პრინციპი ევოლიუციონა-
ლურის, მეცნიერულის მორალისა და
გვარიანად ასრულებს ამას. მაგრამ
როცა ასეთს წერილებს სწერს კაცი
დიდი სიფრთხილე მართებს შეცდო-
მა არ შეუპაროს. ამისთვის-კი ჯე-
როვანი ყურადღება არ მიუქცევი